



ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 129

ქ. თბილისი

20 მარტი 2019 წელი

„სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის 2018 წლის 15 მარტის №145 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის მოადგილის ვარლამ ავალიშვილის მიერ წარმოდგენილი იქნა 2019 წლის 19 მარტის N00320883 სამსახურებრივი ბარათი, რომლის თანახმად ითხოვს კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 15 მარტის №145 ბრძანებით დამტკიცებული ქვოტის განსაზღვრის ფორმა N1 ცვლილებას №1-ის თანახმად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ წესდების მე-5 მუხლის „ე“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის 2018 წლის 15 მარტის №145 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული ქვოტის განსაზღვრის ფორმა N1 ჩამოყალიბდეს N1 დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს კოლეჯის საქმის მწარმოებელს ინა ქვრივიშვილს.
3. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მისამართი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

კოლეჯის დირექტორი



როინ (მათე) ტაკიძე